# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

9 ნოემბერი
ხუთშაბათი
2023 წელი
№47 (9309)
ფასი 40 თეთრი





**2024 წელს**

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი

**3 მილიარდ 400 მილიონი ლარი იქნება**

**2024 წელს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი 3 მილიარდ 400 მილიონი ლარი იქნება. მიმდინარეობს და გაგრძელდება გზების, ხიდებისა და მაგისტრალების მშენებლობა, მუნიციპალიტეტებისა და კურორტების ურბანული განახლება. 2024 წელს, 10 ტურისტულ ქალაქში დაიწყება მასშტაბური სამუშაოები, დასრულდება მთავარი მაგისტრალი რიკოთის უღელტეხილზე.**

## სიახლე
# ლიმონათი ბორჯომისგან

კომპანია ,,IDS ბორჯომი საქართველო", პორტფელს აფართოებს და პრემიუმ ლიმონათების ასორტიმენტით, ტკბილი გაზიანი სასმელების კატეგორიაში შედის. **LIMONATI BY BORJOMI** — ,,ლიმონათი ბორჯომისგან", ახალი ინოვაციური **პროდუქტია, რომელსაც ქართული მინერალური წყლის ბრენდი მომხმარებელს უახლოეს პერიოდში შესთავაზებს. „ლიმონათი ბორჯომისგან", დამზადებულია „ბორჯომის" მინერალური წყლით და ქართული ნატურალური ხილის წვენით.**




ახალი ქართული ლიმონათი ქილაში ჩამოისხმება, შეფუთვის დიზაინზე კი იტალიურმა ბრენდინგ სააგენტო ,,პაგინამ" იმუშავა. ლიმონათის ოთხი გემო - მსხალი, აჭარული მანდარინი, ტარხუნა და ციტრუსი, შესაბამისი ფერის ქილებშია წარმოდგენილი. დიზაინი, ქართული არქიტექტურისთვის დამახასიათებელ ორნამენტთან ერთად, ბორჯომის ხეობას, მინერალურ წყალს და ბრენდის სიმბოლოს - ირემს, ოვალის ფორმის გამოსახულებაში აერთიანებს. სპეციალურად შეირჩა ქართული ჟღერადობის სახელწოდებაც ,,**LIMONATI** ბორჯომისგან", რომელიც სიტყვის პოპულარიზაციის მიზნით საერთაშორისო ენაზე დაიწერა.

**- ინოვაციური პროექტების განხორციელება და პორტფელის გაფართოება, ჩვენი კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ვცდილობთ, ვიყოთ ნოვატორები, ერთი მხრივ დავნერგოთ სიახლეები და მეორე მხრივ მოვიზიდოთ სრულიად განსხვავებული, ჩვენთვის ახალი კატეგორიის მომხმარებლები. ტკბილი გაზიანი სასმელების კატეგორიაში შესვლა ერთგვარი გამოწვევაა, რადგან გარემო საკმაოდ კონკურენტულია. თუმცა მიგვაჩნია, რომ „ქართული ლიმონათი ბორჯომისგან", გამორჩეულია თავისი შემადგენლობით და გემოთი, რაც მის წარმატებას განაპირობებს და ღირსეულად გააგრძელებს საქართველოში ლიმონათის დამზადების 100 წლიან ტრადიციას,** - განაცხადა კომპანია ,,IDS ბორჯომი საქართველოს" გენერალური დირექტორმა **ივანე მაჭავარიანმა.**

ნამდვილი ქართული ლიმონათი მხოლოდ **,,ბორჯომისგან";**

**„ბორჯომი"** სასმელების ახალ კატეგორიაში შედის;

**„ლიმონათი ბორჯომისგან"** ბორჯომის №2 ჩამომსხმელ ქარხანაში იწარმოება და საქართველოს გარდა ექსპორტზე ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში გავა. მიმდინარეობს მოლაპარაკებები მსხვილ სავაჭრო ობიექტებთან. ბრენდი ახალი პროდუქტის საკომუნიკაციო კამპანიას და ქსელში გატანას 2024 წლის დასაწყისიდან გეგმავს. ასევე მალე, მისი შეძენა კომპანიის ონლაინ გაყიდვების პლატფორმა www.mywatershop.ge-ზეც იქნება შესაძლებელი.

# ბორჯომში სამ ლოკაციაზე QR კუბები დამონტაჟდა



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით, ბორჯომში სამ ლოკაციაზე QR კუბები დამონტაჟდა.

QR კუბზე დატანილი შტრიხკოდის დასკანერებით, ქალაქის მცხოვრებლები და ტურისტები ღირშესანიშნაობების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენებზე მიიღებენ.

QR კუბი ერთგვარი საინფორმაციო გიდის ფუნქციას ითავსებს და ქალაქის სტუმრებს ვირტუალური ტურების მოწყობაშიც ეხმარება.

- ბორჯომი ტურისტული ქალაქია. გაკეთდა ძალიან კარგი პროექტი. დააყენეს QR კუბი - საკუთარი ტელეფონით შეგიძლია, მიანათო და გაიგო ამა თუ იმ ისტორიული ძეგლის შესახებ. ეს ძალიან სასიამოვნო და კომფორტულია, როგორც ბორჯომელებისთვის, ასევე ტურისტებისთვის, - ამბობს ბორჯომის მერი **ოთარ არბოლიშვილი.**

# სოციალური პროგრამები მოქმედებაში

**ბორჯომის მუნიციპალიტეტმა, სოციალური პროგრამების ფარგლებში, ოქტომბერში 222 117 ლარის დაფინანსება გასცა. აღნიშნული თანხით, მუნიციპალიტეტმა დახმარება 840 ბენეფიციარს გაუწია.**

- 159 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის მერიამ 105 643 ლარი გამოიყო. მედიკამენტების შესაძენად 75 ბენეფიციარი 8 048 ლარით დაფინანსდა.
- ონკოლოგიური დაავადებების მქონე 29 პაციენტი 28 785 ლარით დაფინანსდა, ხოლო 106 მრავალშვილიანი ოჯახი 30 051 ლარით დაფინანსდა.
- სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედ-მამით ობლებმა და სხვა.
- ბორჯომის მუნიციპალიტეტში 24-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება.
- პროგრამის მთავარი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე, სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა მხარდაჭერა.



ბორჯომის მერიამ საშეშე მერქნის შესაძენად 113 400 ლარის დაფინანსება გასცა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 567 ოჯახს, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს საშეშე მერქნის შესაძენად 200 ლარი ჩაურიცხა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში 25-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება. პროგრამის მთავარი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი მხარდაჭერა.

# მომავალი თაობის ღირსეული აღზრდისათვის





**განათლებისა** და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი განათლების სამმართველოს წარმომადგენელმა **მარიამ ჩიბუხაშვილმა** ბორჯომის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობაში პრეზენტაცია გამართა.

შეხვედრა პოზიტიური მშობლობის და ადრეული, სკოლამდელი განათლების როლზე ცნობიერების ამაღლების მიზნით შედგა. სამინისტროს წარმომადგენელმა ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მნიშვნელობაზე, მშობლისა და აღმზრდელის საერთო მიზანზე, ბავშვის უფლებების დაცვასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრა.

შეხვედრას ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი **ნინო ბენდელიანი,** მენეჯერები და ბაგა-ბაღების აღსაზრდელების მშობლები ესწრებოდნენ.

# გრანტის მქონე სტუდენტების დაჯილდოება



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ 100%-იანი, 70%-იანი და 50%-ანი სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტებს ფულადი ჯილდო ჩაურიცხა.**

**100%-იანი სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტს - 300 ლარი, 70%-ანი გრანტის მქონე სტუდენტს - 250 ლარი, ხოლო 50%-იანი სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტს 200 ლარი ჩაერიცხათ.**

**ფულად ჯილდო ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების იმ კურსდამთავრებულმა სტუდენტებმა მიიღეს, რომლებმაც მერიაში შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოადგინეს.**

# ონკოლოგიური ოპერაციები ყველას დაუფინანსდება




**ონკოლოგიურ**ი ქირურგია როგორც გეგმური, ისე გადაუდებელი ოპერაციები, ქვეყნის მასშტაბით, ყველა ონკოპაციენტს (გარდა საბიუჯეტო სახსრებით დაზღვეული პირებისა) დაუფინანსდება. მათ შორის არიან დაზღვეული ვეტერანები და ის პაციენტებიც, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარზე მეტია.

მიმდინარე წლის აგვისტოდან გადაწყვეტილებით ჰორმონოთერაპია, ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია და მედიკამენტები, ქვეყნის მასშტაბით, ყველა ონკოლოგიურ პაციენტს უფინანსდებოდა. დღეს - საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ცვლილების მიხედვით - მოქალაქეებისთვის თანაბრად იქნება ხელმისაწვდომი როგორც ქიმიო/ჰორმონო/სხივური თერაპიებისა და მედიკამენტების, ისე ონკოლოგიური ქირურგიის დაფინანსება.

აღნიშნული გადაწყვეტილებით ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, თითოეული ბენეფიციარისთვის, მათი შემოსავლის მიუხედავად, თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება.

# ვიზრუნოთ ექსპლოატაციაში მყოფ შენობებში სითბოს შენარჩუნებისათვის, ნუ დავარღვევთ ეკოლოგიურ ბალანსს დედამიწაზე

**ბატონი რევაზ სიხარულიძე** აღნიშნული მოწყობილობების გამოყენებით სამშენებლო ობიექტების ტერიტორიაზე, ასევე შენობების სართულებზეც მათი ამოშენებისათვის ამზადებს ბლოკებს და პირადად ეწევა სამშენებლო საქმიანობასაც. არც ფიქრობდა თუ „ენერგოდამზოგველის" ტიტულს მიანიჭებდნენ მის გამოგონებას. (ხუთი პატენტის მოპოვებას 10 წელი (2010 წლიდან 2020 წლამდე) პერიოდი დაჭირდა. მთავარია, გაითვალისწინოთ თქვენი საცხოვრებელი ადგილის გარემოს პირობები, რაც კარგადაა ჩამოყალიბებული სტატიის დასაწყისში მითითებულ სამთავრებო დადგენილებაშიც და **„სამშენებლო კლიმატოლოგიაშიც",** ყურადღება უნდა მიაქციოთ საკედლე მასალების თბოდაცულობის მაჩვენებლებსაც.

ამავე დროს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით შემომზღუდავი კედლები ზამთრის პერიოდში გარე საანგარიშო ტემპერატურაზე გათვლით უნდა აკმაყოფილებდნენ ბინებში თბოდაცულობის მოთხოვნებს, შიგნიდან თბილი ჰაერის გადინებისა და გარედან ცივი ჰაერის შემოდინების საწინააღმდეგოდ.

ამ მიმართულებით ჩვენთან შეუცვლელ წესად ჩამოყალიბდა, რომ საქართველოში აგურისა და ბეტონის მცირე ბლოკებით თვითმზიდი კედლების ამოყვანისას, კედლის სისქე 40სმ, თითქოს ყველა დასახლებულ პუნქტში დააკმაყოფილებდა ზამთრის პირობებში გათბობისას თბოდაცულობის ნორმატიულ პირობებს, მაგრამ 40სმ-ში სპეციალისტი ყოველთვის გულისხმობდა, რომ კედელი მზიდი იყო და უნდა გაეძლო ზედა სართულების იატაკების და კედლების დატვირთვებისათვის. მრავალსართულიან კარკასული ტიპის შენობებში კედლები გადახურვების ფარგლებში თვითმზიდია და მიიჩნევენ, რომ 20 ან 30სმ სისქის ღრუტანიანი ბლოკების გამოყენება შემომზღუდავ კედლებში ყველა პირობას აკმაყოფილებს. უკვე ბინების ექსპლოატაციის პირობებში მოსახლეობა იძულებული ხდება ბინების კედლებზე შიდა მხრიდან აკრას თბოსაიზოლაციო მასალები ან ნაკეთობები..

ორფენიანი ბლოკების სისქე ცალცალკე გამოიცადა. ორივე მაჩვენებელი შეიკრიბა და თბომედეგობის ჯამურმა სიდიდემ შეადგინა 3,2მ²კ/ვატი. ბინებში სითბოს შენარჩუნების, 95 პროცენტი პენოპლასტის დამსახურებაა, გარე ფენა-ბეტონი მზადდება წვრილფრაქციული ღორღისა და ცემენტისაგან დამზადებული მასით, რომელიც ცივ ბეტონად ითვლება და არ ნესტიანდება, არც წვიმებისგან და არც ნესტიანი (ნოტიო) გარემო პირობებში, რაც ძირითადი ფაქტორია მისი გამოყენებისათვის, ამიტომ თუ მათ თბილისში, ბორჯომში და მათთან მიახლოებულ კლიმატურ გარემოში გამოვიყენებთ შედეგობრივი მიზანი დაკმაყოფილებული იქნება. ამავე დროს ფასადიც და შიდა კედლებიც ილესება, რის გამოც კიდევ 10%-ით მოიმატებს სითბოს შენარჩუნების მაჩვენებელი. ცხადია, ზღვისპირეთში მინუს 2-3 გრადუსიანი, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში მკაცრი კლიმატური გარემოა და საჭირო გახდება მინის 15-20 გრადუსიანი პირობების გათვალისწინება.

პენოპლასტის გამოყენება შედარებით მცირე ან მეტი სისქის გათვალისწინებით, რევაზი დაინტერესებულ პირებთან საუბარში ყოველთვის რასაც ახსენებს, აღნიშნულის გამო ერთი ბლოკის ღირებულის ფასი შეიცვლება ნაკლებობით ან მეტობით.

პატენტების ავტორი ბლოკებს დასამზადებლად მომავალში დიდი რაოდენობით ბლოკების მოთხოვნის შემთხვევაში საწარმოს შექმნაზეც ფიქრობს. ცხადია, 4,5სმ სისქის იატაკიდან რიგელის ძირამდე. აგრეთვე 0,5 მეტრზე მეტი საგანის ნაკეთობის ბლოკი უკვე პანელად იწოდება. მისი ამწით აწევა და შენობამდე მიტანაც შეიძლება, მაგრამ როგორ შევდგათ იატაკსა და რიგელის ძირს შორის სივრცეში პრობლემაა. კონსტრუქტორებმაც, მშენებელ-ტექნოლოგებმაც, მშენებლობის ორგანიზაციის სპეციალისტებმაც იქნებ მოიფიქრონ მაღალ სართულზე ამოყვანილ სვეტებს შორის როგორ მოხდეს კედლების ამოყვანა.

**გაგრძელება, დასაწყისი იხ. გაზ. „ბორჯომი" №45. 26 ოქტომბერი, 2023 წელი.**

რიგელიებისა და გადახურვის ფილების მოწყობაზე რევაზ სიხარულიძის სახელზე ორი პატენტია გამოყენებული GEU2014/1836y „ასაწყობ-მონოლითური გადახურვა" და GEU2019/2016y „არმატურის კარკასი თბოიზოლირებული გადახურვის ფილებისათვის", ასევე შესაძლებელია კედლები ამოვიყვანოთ მხოლოდ 4,5სმ სისქის ბლოკებით 50X50სმ და პენოპლასტი ოთახების მხრიდან საფასადე კედლებს მივაკრათ უკანა და შიდა მხრიდან კედლების




და ტიხრების მოწყობის შემდეგ საბათქაშე სამუშაოთა შესრულებასთან ერთად სამშენებლო ბაზარში მრავალნაირი სხვადასხვა სისქის მყარი და რულონური თბოსაიზოლაციო მასალები. ყველას გააჩნია პასპორტი ტექნიკურ-თბომედეგობის მაჩვენებლების მონაცემებით. ამით მომხმარებელს ექნება არჩევანი - რომელი გამოიყენოს.

დავუბრუნდეთ კედლის მოწყობის საკითხებს. ნახაზზე წარმოდგენილია პატენტმფლობელის რევაზ სიხარულიძის რეკლამური ბანერიდან ორფენიანი კედლის ბლოკებით ფასადისა და გეგმის ფრაგმენტები. კედლის ამოყვანის თანამიმდევრობა განვიხილოთ ნახაზზე მითითებული ნუმერაციის .

კარკასულ შენობებში ორ სვეტს შორის გარე კიდეებიდან ოთახების მხარეზე უნდა მოინიშნოს კედლის სიგანე 17,5სმ. აღნიშნულ ზოლზე ბლოკის სიგრძეზე ბიჯით 51-51სმ-ზე იატაკიდან (პოზიცია 1) რიგელის (პოზიცია 3) ძირამდე უნდა ჩადგეს ბრტყელი კარკასები, (პოზიცია 4) იატაკზე და რიგელის ძირში წინასწარ მოწყობილ 5სმ ხვრელებში გაჭედილ 10სმ სიგრძის ანკერებში დიამეტრით 8მმ. გასწორდეს ვერტიკალურ მდგომარეობაში თარაზოთი და მავთულებით შეიკრას ერთმანეთთან.

(პოზიცია 4-ის) მიხედვით მოსამზადებელი ბრტყელი კარკასები შედგება 5,5მმ დიამეტრის გლინოელისაგან დამზადებულ 2 ცალი სწორი ღეროსა და იმავე დიამეტრის მათი შემაერთებელი საკიდებისაგან. ბატონ რევაზ სიხარულიძის „გლინულას საღუნ მოწყობილობაზე" მზადდება, რომელიც ასევე დაცულია მის სახელზე გაცემული პატენტით. (GEU2019/2023y).

სწორი ღეროები მზადდება ჩვეულებრივი მოწყობილობაზე. საინტერესოა საკიდების, სახელწოდებით „კლაკნილა", დამზადების პროცესი. მოწყობილობის მარცხენა მხარეზე სავარძელში ზის მეარმატურე. აპარატზე მონიშნავს დასაკლაკი ღეროების სიგრძეებსა და დასამზადებლად დაკვეთილ რაოდენობას. 5,5 დიამეტრის წრიულად დახვეულ გლინულას გორგალიდან, რომელიც მყარად მიწაზე მდგომ დანადგარზეა ჩამოცმული, გამოაცალკავებენ, ღერო შეჰყავთ მოწყობილობის ბუდეში, ოპერატორი, იგივე სავარძელში მჯდომი მეარმატურე თითს დააჭერს პულტს და იწყება გლანულას გორგალის ტრიალი, მისი აპარატში შესვლა, დაკლაკვნა, ზომაში ჩაჭრა და ავტომატურად მიმდებარედ მდგომ მაგიდაზე გადადება, მაშინვე აპარატი აგრძელებს კლაკლინების დამზადებას და ბოლოს ითიშება.

5,5მმ დიამეტრის გლინული „კლაკნილას" სიმაღლეზე ერთი ცალი ბრტყელი კარკასის მოწყობაზე ორჯერ მეტია საჭირო. მზადდება არმატურის საჭრელ ცნობილ მოწყობილობაზე

მივყვეთ წარმოდგენილი ნახაზით კედლის ამოყვანას. ბრტყელი კარკასი ნახაზებზე აღნიშნულია (პოზიცია 4). იატაკზე და ზედა სართულის რიგელის ძირში, ორ რიგად რკინა-ბეტონის იატაკის ფილა და ზედა სარტყელის რიგელი ძირი 5-5სმ სიღრმეზე იხვრიტება 8მმ დიამეტრის ბურღით, რომლებიც 13-13სმ-ის დაშორებით, ასევე ორ რიგად იჭედება 8სმ დიამეტრის არმატურის 10-10სმ სიგრძის მონაჭრებით. შემდეგ მონაჭრებზე ზევით და ქვევით ვადუღებთ 2-2 ცალ არმატურის ღეროებს, ასევე ვამოწმებთ მათ ვერტიკალობას 50სმ სიგრძის ბლოკების ჩაჯენაზე. შემდეგ სწორ ღეროებზე მიბჯენით მაგრდება კლაკლინაც, უშუქობის პირობებში დაშვებულია ორივე ოპერაციის შესრულება მავთულებით.

შემდეგ ბრტყელ კარკასებს შორის ცემენტ-ქვიშოვან ხსნარზე ბლოკების წყობის (პოზიცია 5). თითოეული ბლოკი საპროექტო მდგომარეობაში ჩაყენებისთანავე მის გვერდებიდან გამოშვებული მავთულის დროებით ეხვევა ბრტყელ კარკასებს, ფიქსირდება მისი საპროექტო მდგომარეობაც.

რჩება კედლების შიდა მხრიდან შელესვა, (პოზიცია 7). ეს სასწრაფო საქმედ აღარ აღიქმევა. შელესვა შეიძლება, მაგრამ წესისამებრ, როგორც სამშენებლო ტექნოლოგიაშია მიღებული, ჯერ შენობის მთლიანი ამოყვანა უნდა დასრულდეს, სახურავი მოეწყოს, ამოშენდეს შიდა კედლებიცა და ტიხრებიც. ჩაისვას ფანჯრები ორი ან სამფენა ბრონიანი ალათებით და შემდეგ ჩატარდეს საბათქაშე სამუშაოები.

ბატონ რევაზ სიხარულიძის ხუთივე გამოგონებისა და პატენტების შესწავლამ, მათმა არქიტექტურულმა, კონსტრუქციულმა, თბოტექნიკურმა, ბინებიდან სითბოს გაუმტარობაზე და ქუჩებიდან ხმაურის შემოღწევის ანალიზმა, მის მიერ მშენებარე და უკვე აგებული შენობების დათვალიერებამ დამარწმუნა მათ ინოვაციურობაში. მის მიერ აგებული დაბალსართულიანი და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები გამოირჩევიან ენერგოდამზოგველობისა და ბგერადაცულობის მაღალი მაჩვენებლებით.

ეკონომიკური ეფექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონოლითური რკინა-ბეტონის მზიდ კარკასულ კონსტრუქციებში (სვეტები, რიგელები, გადახურვის ფილები) მრავალსართულიანი და მაღლივი საცხოვრებელი სახლების მშენებლობებისას. ბატონ რევაზის პატენტებით დაცულ კიდევ ორ გამოგონებაში „ასაწყობ მონოლითური გადახურვა" და „არმატურის კარკასი თბოიზოლირებული გადახურვის ფილისათვის" სვეტები და რიგელები ფორმით არ იცვლება, სართულშუა და სახურავის გადახურვის ფილების შუაში ეფინება პენოპლასტი, თვით არმატურის ბადეები და კარკასები ქარგილებში ტექნოლოგიურად ორიგინალური ფორმით თავსდება, მათი ფენობრივი განლაგებაც ჩვეულებრივისაგან განსხვავებულია.

აღსანიშნავია, რომ რიგელიებისა და გადახურვების დაბეტონება ერთდროულად წარმოებს, ვიბრირების პროცესში ბეტონი პეროპლანტის ფურცლებს შორის გავლით ქარგილების ზედაპირამდე ჩადის, იშლება და მკვრივდება.

იზოგება ბეტონი - 10% და არმატურა 15%-მდე, შესაბამისად ეკონომიურია ფულადი ხარჯებიც. აღნიშნული ნიშნავს, რომ იგივე სახსრებით 10 სართულიანის ნაცვლად 12 სართულამდე შენობის კარკასის კონსტრუქციების აგება შეიძლება.

ცხადია, ერთ-ორ სართულიან ერთ ან ორ ოჯახიან საცხოვრებელ სახლებშიც აქვს აზრი გადახურვებს, პეროპლასტისა ან სხვა თბოსაიზოლაციო მასალების გამოყენების, მაგრამ მრავალსართულიანებში, თუ ახალ მშენებლობებს ენერგოდამზოგველი მასალებითა და ნაკეთობა-კონსტრუქციებით გავაგრძელებთ, შენობებიდან სითბოს გადინების გარემოში ადგილი აღარ ექნება, ქუჩებში მოძრავი ტრანსპორტის ხმაურისგან დაცულებიც იქნებით, თანდათანობით გაუმჯობესდება და გაჯანსაღდება ატმოსფერო, ბუნებაშიც ცხოვრების მყუდრო პირობები შეგექმნებათ.

ჩემი კოლეგები დადებითად აფასებენ აღნიშნული კონსტრუქციების მშენებლობებში აქტიურად გამოყენებას, მაგრამ მიაჩნიათ, მათ ფართო დანერგვაზე ზემდგომი ორგანოების მხარდაჭერაც აუცილებელია.

დამპროექტებელისა და მშენებლობის ექსპერტის პოზიციებიდან ყოველთვის ვადასტურებდი სტატიაში განხილული კონსტრუქციების ფართო მასშტაბით გამოყენების აუცილებლობას და კიდევ ერთხელ ყველას გირჩევთ, ყურადღების გამოჩენას, სახელმწიფოსაც წაადგება, აბრეშუმის გზასაც, გაიხარებს ერიც და ბერიც.

თუ სტატიით დაინტერესდებით, გამოგვეხმაურეთ, გავაგრძელებ პირველ და მეორე გამოგონებას, სართულშუა და სახურავის გადახურვებზე ჩემ შეხედულებების და მოსაზრებების გამოქვეყნების შუა ფენად აქაც პენოპლასტია გამოყენებული, კონსტრუქციულად ორიგინალური გადაწყვეტაა, მოგეწონებათ.

ასევე სამეზობლო ბინებს შორის კედლებსაც სიხარულიძის ბლოკებით ამოაშენებთ, მაცხოვრებლებიც საყოფაცხოვრებო ურთიერთობაში ბგერადაცულიები იქნებით. ქვედა მეზობელს ფეხსაცმელების ბაკუნითაც აღარ შევაწუხებთ და არც ზემოდან შევწუხდებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქებში მრავალი ბინაა გამოკეტილი, ოჯახების ნაწილი ბინებს ვერ ათბობს, ამიტომ სამეზობლო კედლებიდან სითბოს ნაწილი იმათკენაც გადავა.

თუ ჩვენი რეკომენდაციებით დაიწყებთ სახლების მშენებლობას, მათი ექსპლოატაციის პერიოდში ბინების გათბობაზე მოსახლეობას ბევრად ნაკლები ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი ან შეშა დაეხარჯებათ, ეს კი იქნება თითოეული ოჯახის წვლილი ეკოლოგიური ბალანსის დაცვაში, რაც საერთო ჯამში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ენერგოდამზოგველობას, ხელი შეეწყობა გარემოსაც ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებაში, ასევე ოჯახებსაც ზამთარში ბინების გათბობაზე ნაკლები ენერგორესურსების მოხმარება დაგჭირდება.

ამიტომ შევირგოთ რაც გვაქვს. ბრძნული ნათქვამია „თურაშაულის პატრონი, ტყეში ეძებდა პანტასა".

ბატონი რევაზ სიხარულიძე არც მალავს თავის საგანძურს. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მობილურით - 551 339 911. უაღრესად კომუნიკაბელური და საინტერესო პიროვნებაა. მისი გამოგონებული საცხოვრებელ სახლებში ოჯახები იცხოვრებენ მყუდრო, მშვიდ და თბილ გარემოში.



**რევაზ მახვილაძე,**
პროფესორი, მშენებლობის ექსპერტი.

**რედაქციის მინაწერი: ღმერთმა გვიმრავლოს სამშენებლო საქმიანობაში დასაქმებული, ინოვაციური და გამომგონებლობის აზროვნებით შემკულ-დაჯილდოებული ადამიანები.**

# უპრეტენზიო, მაგრამ საჭირო კაცი



**რედაქციაში, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის წლებში საქმიანი შეხვედრები მქონდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან და მინდა, კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ მათი დიდი ნაწილი მინდობილი საქმის ერთგულებით და პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა.**

**დღეს მინდა, დიდი პატივისცემით გავიხსენო ალბერტ ბარბაქაძე, რომელიც რაიონის მიწათმომწყობად მუშაობდა, ამჟამად დამსახურებულ პენსიაზეა.**

**ჩემი წერილის** გმირი, მაშინდელმა რაიონის მთავარმა აგრონომმა, ღირსეულმა პიროვნებამ და ახალგაზრდების დამკვალიანებელმა, ბატონმა ელგუჯა გელაშვილმა გამაცნო, თან დააყოლა, პერსპექტიული სპეციალისტია და მას უფრო მაღალი თანამდებობისათვის ამზადებენო.

ბატონი ელგუჯა ის კაცი იყო, საქებარ სიტყვებს ჰაერზე არ ისროდა და მესიამოვნა ჩემი ასაკის სპეციალისტის გაცნობა, მით უმეტეს, მაშინ რედაქციაში სოფლის მეურნეობის საკითხების გაშუქება მევალებოდა.

ალბერტ ბარბაქაძე იმხანად რაიონის მთავარ მიწათმომწყობ პანაეტოვთან მუშაობდა სპეციალისტად და როგორც ახალგაზრდა და უნარიან სპეციალისტს ყველაზე რთულ დავალებებს აძლევდნენ სოფლის მეურნეობის სამმართველოს, რაისაბჭოს აღმასკომის თუ პარტიის რაიკომის ხელმძღვანელები.

სწორედ ასეთმა დატვირთვამ ალბერტ ბარბაქაძე არა მარტო გამოაწრთო თავის სპეციალობაში, არამედ ღრმად ჩაახედა საქმის რეალურ ვითარებაში. მოგეხსენებათ, რაიონის სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო მიწები რამდენიმე ათეული ათას ჰექტარს შეადგენდა და მისი რეალური განკარგვა საქმიან და კვალიფიციურ მიდგომებს მოითხოვდა. ამისათვის კი საჭირო იყო უმაღლეს სასწავლებელში მიღებულ თეორიულ ცოდნას, პრაქტიკული ცოდნაც მიმატებოდა, რაც მხოლოდ საკუთარ თავზე დიდი დატვირთვის ხარჯზე უნდა შეეძინა.

რამდენიმე წლის შემდეგ ალბერტის უფროსი დამსახურებულ პენსიაზე გავიდა და ყოველგვარი კონკურენციის გარეშე ალბერტ ბარბაქაძე რაიონის მთავარ მიწათმომწყობად დააწინაურეს. კომუნისტური რეჟიმის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა სოფლის მეურნეობის მართაში. რაიონის მთავარ მიწათმომწყობის სამსახური გარდაიქმნა სამმართველოდ, უფრო მეტი უფლებებით, უკეთესი პირობებით, ამასთან გაიზარდა მოთხოვნები. ამ პერიოდში იწყებოდა მიწის პრივატიზაციის პროცესი, რომელიც ურთულესი ღონისძიება იყო მაშინ დაწყებულ რეფორმებს შორის, იყო ზეწოლებიც, მუქარებიც, მაგრამ ბუნებით მშვიდი და მაღალპროფესიონალი ჩვენი წერილის გმირი, კანონის ფარგლებში მოქმედებდა და არსებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ყველას თავის ადგილს მიუჩენდა ხოლმე.

მიწებზე საკუთრების უფლების დადგენა იოლი არ იყო, მიუხედავად ამისა, ალბერტი ყველაფერს კანონის შესაბამისად წყვეტდა, მისი სამუშაო საათები დაწესებულზე ბევრად გვიან მთავრდებოდა, ოჯახში ხშირად დაგვიანებული ბრუნდებოდა, მეუღლე და შვილები გაგებით ხვდებოდნენ ოჯახის უფროსის დატვირთულ რეჟიმში მუშაობას. სამაგიეროდ შვილებმა გაუმართლეს, კარგად ისწავლეს, ურთულეს ცხოვრებაში გზა გაიკვალეს. ოჯახები შექმნეს, ამაგდარ მამას შვილიშვილები მოუმრავლეს. დღეს ღვაწლმოსილი ჩვენი ალბერტი დამსახურებულ პენსიაზეა, ოჯახში, ეზო-გარემოში ზღვა სამუშაოა.

77 წლის ალბერტ ბარბაქაძეს შესანიშნავი მეხსიერება აქვს, ვინც მასთან უანგაროდ ურთიერთობდა და მეგობრობდა დღესაც კარგად ახსოვს. მობილური ტელეფონი კი იძლევა იმის საშუალებას, რომ მოიკითხო ისინი, გაამხნევო და დააიმედო რომ ცხოვრება უკეთესობისაკენ იცვლება.

ყურადღებიან და ალალ კაცს, მზრუნველობა ნამდვილად არ აკლია და ტკბილ ცხოვრებას შვილიშვილების ჟრიამულში ატარებს.

ვუსურვოთ ბატონ ალბერტის დღეგრძელობა, დარწმუნებული ვარ, ვისაც მისი გამოცდილება დაჭირდება, თავის ცოდნას და გამოცდილებას არ დაიშურებს.

**თემურ ხუხუნაიშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

# წარმატებული ახალგაზრდა ექიმი

**ილია ლომიძემ რეზიდენტურა „დენტივერში" დაამთავრა. ჰყავს მეუღლე და 2 ვაჟკაცის თემოსა და სანდროს მამაა. ახალდაბის საჯარო სკოლის მოსწავლე დღესაც დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს პედაგოგებს, რომლებმაც მისი მომავალი მნიშვნელოვნად განსაზღვრეს. ფიქრი, სამედიცინო სფეროს ინტერესზე მოსწავლეობის პერიოდში დაიწყო. წარმატებული ექიმის მეუღლე ანი ჟუჟარაძე თავადაც ექიმი - სტომატოლოგია.**



ექიმ-ორთოპედი, ილია ლომიძე მუდამ ზრუნავს კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ამიტომ აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ სტომატოლოგიურ კონგრესებსა და კონფერენციებში.

„უნივერს დენტალის" გუნდის წევრი ამბობს, რომ ორთოპედიას იმპლანტოლოგიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმპლანტის მორგებისა და ძვალთან ინტეგრაციის შემდგომი პროცედურის საბოლოო, დამაგვირგვინებელ ეტაპზე. სწორედ ორთოპედიული მანიპულაციაა, რომელიც გულისხმობს გვირგვინის დამზადებას, მორგებასა და ჩაცემენტებას.

● **როგორ გაიხსენებ სტუდენტობისა და მოსწავლეობის პერიოდს?**

- ყველაზე კარგ და ლამაზ წლებად მახსენდება ჩემი სკოლა და მასწავლებლები, რომლებმაც დიდი გავლენა იქონიეს ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში.

● **მთავარი სათქმელი, რომელსაც საკუთარ თავს ხშირად ეუბნები?**

- შენ ამას შეძლებ, შენ ეს გამოგივა.

● **სირთულე, რომელიც სამედიცინო სფეროს თანმდევია? რა უნდა გაითვალისწინოს ექიმმა - პროფესიით დაინტერესებულმა?**

- რთულია, როდესაც ადამიანის ჯანმრთელობასთან გაქვს პასუხისმგებლობა. პირველ რიგში უნდა უყვარდეს თავის პროფესია.

● **სამომავლო გეგმებზეც გვითხარი, რას გეგმავ უახლოეს მომავალში?**

- ვგეგმავ სამომავლოდ საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლებას. პროფესიონალიზმი მუდმივ სწავლასა და განვითარებას გულისხმობს.

● **მამის ხედვით, რა შეცვალა შვილების დაბადებამ?**

- მთელი ჩემი ცხოვრება. ეს არის გრძნობა, რომელიც აუცილებლად ყველამ უნდა გამოსცადოს.

● **როგორ ბორჯომსა და ახალდაბას ისურვებდა ილია ექიმი?**

- რა თქმა უნდა, ეკონომიურად ძლიერსა და განვითარებულს. მიყვარს ახალდაბაში გატარებული ყოველი დღე და წუთები. სხვა ემოციით ხვდები დილას, სხვა ემოცია აქვს აქ გატარებულ დროს.

მახარებს, ჩემს წარმატებას, რომ იზიარებენ ახალდაბელები და ასე მგულშემატკივრობენ. მადლობა მათ ამ მნიშვნელოვანი მხარდაჭერისთვის.

**იზა იანვარაშვილი**

## ვიცოდეთ ჩვენი ხეობის ისტორია

# რას წერდნენ უცხოელი ავტორები ბორჯომის შესახებ



**„ბორჯომის" სახელწოდება** მომდინარეობს თურქული სიტყვიდან, რაც ნიშნავს „გალავნით დაცულს". ორი დინების, „გუჯარეთის წყალი" და „ბაკურიანის წყალი, შერწყმით წარმოქმნილი მდინარე, სახელწოდებით „ბორჯომულა", მიედინება მტკვრის მარჯვენა მხარეს არსებულ ხეობაში და არის მისი მარჯვენა შენაკადი. გარდა ჩამოთვლილი სამი მდინარისა, ხეობაში მიედინება „შავი წყალი", ანუ შავი მდინარე. ბორჯომი ერქვა ასევე სურამის დაბლობის მიდამოებში მდებარე დანგრეულ ციხესიმაგრეს, სადაც მდინარე მტკვრის ხეობა მეტად შევიწროვებულია. ბორჯომი საუკუნეების მანძილზე ეკუთვნოდა ქართველ თავადებს-ავალიშვილებს. თავადმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვორონცოვმა გაოგნებულმა ბორჯომის ტყის სიმდიდრით, გადაწყვიტა ეს ადგილი გადაეცა რუსეთის მთავრობისათვის. ავალიშვილები თანხმდებოდნენ მცირე რენტას, წლიურ ათას რუბლს, რაც შეადგენდა სამიათას ხუთას ფრანკს. ეს თანხა მუდმივად უნდა გადასცემოდა ოჯახის ცოცხალ მემკვიდრეს. თავადმა ვორონცოვმა არ ისურვა ასეთ მცირე გადასახადზე ხელშეკრულების გაფორმება რუსეთის მეფის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენდა. მან საკუთარ თავზე აიღო უფრო ხელსაყრელი პირობების შეთავაზება. მოთხოვნილ თანხას დაემატა ოთხი ათასი რუბლი და ხელშეკრულება გაფორმდა. მიწის ფართობი იყო სამოცდაცხრა ათას ან შვიდასოთხმოცდაცხრამეტი დესეტინა (ერთი დესეტინა შეადგენს ოთხიათას რვაას კვადრატულ მეტრს).

**1871 წელს, იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ კავკასიაში მოგზაურობის დროს, ეს ნაკვეთი საჩუქრად გადასცა მის ძმას, მიხეილს**. აღსანიშნავია საინტერესო დეტალი: ზოგიერთი ყოფილი მფლობელი ამჟამად მუშაობს მუშად წინაპრების კუთვნილ მიწაზე და დღეში მისი ანაზღაურება შეადგენს ორმოცდაათ კაპიკს, რადგან სრულწლოვანებამდე არ აქვს უფლება ისარგებლოს ოჯახისგან მემკვიდრეობით მიღებული ქონებით. სხვები იღებენ ათ, თხუთმეტ ან ოც რუბლს თვეში, უფლების შესაბამისად.

ახალციხესთან, წარსულში „ტყვეებით ვაჭრობის" უდიდეს ცენტრთან სიახლოვის გამო, ბორჯომი მრავალგზის იყო დარბეული თურქებისა და ლეკების მიერ, რადგან უცხოელი ვაჭრები სწორედ ბორჯომის გავლით გადაადგილდებოდნენ. ამას მოწმობს ამ რეგიონში ძველი კოშკების ნანგრევების სიმრავლე. აქედან ორი საგუშაგო, მტკვრის მარცხენა ნაპირზე - მდებარე „გოგიას ციხე" და მარჯვენაზე აგებული „პეტრეს ციხე" ეკუთვნოდა ორ ძმას, რომელთა სახელებსაც ატარებენ. მრავალი ლეგენდა უკავშირდება ამ ციხესიმაგრეებს. დღეს, იქ განთავსებულია ყაზარმა, რომელიც იტევს ერთდროულად ასორმოცდაათ ჯარისკაცს. ზაფხულში გარნიზონი დაბანაკებულია დაბლობში, სადაც ატარებენ სამხედრო მანევრებს.

დიდი ცვლილებები მოხდა დასახლებაში მის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შემდეგ. ბუნებრივი ცხელი წყლის წყაროებმა (აბანომ), სადაც ადრე მხოლოდ რამდენიმე ღარიბი - სტუმარი თუ მივიდოდა, მიიზიდა ელიტარული საზოგადოება. ვორონცოვის საზაფხულო საკურორტო ზონაში დაიწყო დახვეწილი სახლების მშენებლობა, თავად ვორონცოვი კმაყოფილდებოდა უბრალო პატარა სოფლის სახლით. ამჟამად ბორჯომში არის პარკი, ბალნეოლოგიური დაწესებულება, სასეირნო ადგილები. მოკლედ რომ ვთქვათ, პატარა ქალაქში განვითარდა განსხვავებული უბნები. ერთ-ერთი ამ უბანთაგანი არი მტკვრის გასწვრივ, ახალციხისკენ მიმავალ გზაზე. სწორედ იქ არის განთავსებული დიდი მთავრის სასახლე, ხოლო თბილისის მაღალი საზოგადოება დადის დასასვენებლად ლამაზ შენობებში. მტკვრის მეორე მხარეს, რომელსაც აკავშირებს რკინის ხიდი, მთის ფერდობზე ტერასებად განლაგებულია ულამაზესი სახლები, რომლებსაც დაჰყურებს ყაზარმა და ორი ეკლესია საუკეთესო მდებარეობის მქონე მესამე უბანში, ანასტასიევსკაია, ასევე ჩამწკრივებულია თვალწარმტაცი სახლები. მიხეილის ქალიშვილის პატივსაცემად წოდებულ ანასტასიას ქუჩას მივყავართ მინერალური წყლების წყაროებთან. მეოთხე უბანი, რომელსაც უკავია მტკვრის სანაპირო ზოლი, სასახლის მოპირდაპირე მხარე, მოიცავს სულ რამდენიმე საცხოვრებელ სახლს.

დიდი მთავრის დასასვენებელი სახლი აშენებულია მთის ფერდობზე. შერეული სტილის, მოწითალო ფერის კედლებით, გალერეის ტიპის აივნებით, მისი პატარა სამრეკლო ჰარმონიულად ერწყმის მის გარშემო მდებარე ნაძვებსა და ფიჭვებს. შიგნით ყველაფერი ძალიან უბრალოა, დარბაზები, საძინებელი ოთახები, აბრეშუმის ნაცვლად გამოყენებულია ყვავილებიანი კრეტონები (ბამბის ქსოვილი). სასადილო ოთახი ასახავს სახლის პატრონის ნადირობით გატაცებას. ავეჯზე შეგიძლიათ ნახოთ ნანადირევის რქები, ცხოველთა ბრჭყალები. მხოლოდ კაბინეტი არის აღმოსავლური სტილის. სასახლის გარშემო გაშენებულია ვრცელი ბაღი სავსე იშვიათი მცენარეებით. ბაღი ყველა მხრიდან ირწყვება კლდიდან გამოყვანილი მილებით, რომლებიც წყლით ამარაგებენ მოლივლივე შადრევნებს. რეგიონში კარგი და ჯანსაღი ჰავაა, ფიჭის სურნელით. ბალნეოლოგიური დაწესებულება წარმოადგენს გერმანულის მინიატურას. მოკლედ, ეს არის ვიში კავკასიაში.

ტუტე წყლების ტემპერატურა არის რეამიურის შკალით 21 გრადუსი და სასარგებლოა კატარის, კუჭის და სხვა დაავადებების სამკურნალოდ. მოწყობილია ცივი, ცხელი და ელექტრო აუზები, რომლებსაც ემსახურება ექიმი და ექთანი ყველაფერი ძალიან ლამაზია და კარგად არის მოვლილი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ბიბლიოთეკა, თავისი სამკითხველო დარბაზით, ასევე დარბაზი კონცერტებისა და თეატრალური წარმოდგენებისათვის, პარკში შეუზღუდავად ისმის დილით და საღამოს სამხედრო მუსიკა, არაჩვეულებრივი სასეირნო ადგილი ბორჯომულას გასწვრივ, რომლის აქაფებულ დინებას კვეთს რვა ხიდი. არაფერია იმაზე რომანტიული, მარტოსული ად-




ამიანისთვის, ვიდრე მისი კასკადების ჩხრიალი, ასწლიანი ხეების ჩრდილი, მცენარეებით დაბურული ადგილები, პატარა იდუმალი ბილიკები. მათთვის, ვისაც არ სურს კაზინოებისა და ფლირტის სისულელეების გაგონება და ურჩევნია განმარტოვდეს და დატკბეს სიჩუმით. ბორჯომში, კიდევ ერთი მომაჯადოებელი სასეირნო ადგილი არის ვორონცოვის პარკი. ნიწვოვანი ხეებით დაბურული პლატოდან იშლება ულამაზესი ხედი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, „შავი მდინარის" მტკვართან შეერთების ადგილზე. პარკში კლდის ნაპრალიდან ძლიერი წვიმის დროს წყალს მოყვება ისეთი რაოდენობის ქვიშა და კენჭები, რომ ხშირად გზა ოცდაოთხი საათის მანძილზე არის გადაკეტილი. ამ მოვლენას უწოდებენ „განრისხებულ კლდეს". „ბეჩერნაია ბალკა". ბორჯომის ყველაზე დიდ შემოსავალს წარმოადგენს ხის მასალა. **წელიწადში სამშენებლოდ იყენებენ ოცდაათიდან ორმოცდაათ ათასამდე მორს, რომ არ ჩავთვალოთ შეშა, რომელსაც იყენებენ გათბობისთვის ყველაფერი იტვირთება ბორნებზე და მიდის თბილისში.** ბორჯომის მოსახლეობას შეადგენენ მუსულმანები, ებრაელები, ქართველები ბერძნები, სომხები და რუსები. არსებობს უფასო სკოლა. ტურისტები მეტად აფასებენ დიდ ინოვაციას, „გრანდ ოტელის" შენობას, ვინაიდან არ არსებობს სხვა საცხოვრებელი გარდა საშინელი კავკასიური სასტუმროებისა ბორჯომის შემოგარენის დათვალიერებისას, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე წმინდა გიორგის მონასტერმა, რომელიც მდებარეობს რამდენიმე ვერსის მოშორებით ლიკანიდან, მაგრამ გარდა ამისა, მას აქვს უცნაური სახელწოდება „მისტი გრი" (სიც). ულამაზესი ადგილია. ამ ადგილის მეპატრონეს ჰქონდა არა მხოლოდ ფერმა, აგრეთვე გუდრონისა და სკიპიდრის საწარმო, წისქვილი და ალკოჰოლური სასმელების წარმოება, სახელმწიფო დოტაციის გარეშე. ლიკანკა-მისტიგრისკენ მიმავალი გზა მიყვება მტკვარს, ხოლო შემდეგ კვეთს მასიურ კლდეში გამოკვეთილი ხიდი - გვირაბის მეშვეობით, რომლის სიშიშვლე ქმნის კონტრასტს გარშემო მდელოების სიმწვანესთან. ამ კლდოვანი ჩანართის ბოლოს მელანქოლიურად დგას პეტრეს ციხე. აქ ვშორდებით თბილისის მდინარის ნაპირებს და მივუყვებით ლიკანკას ვიწრო ხეობას, რომელსაც მივყავართ წმინდა გიორგის მონასტრამდე. არსებული ნანგრევები არ მეტყველებენ მის გრანდიოზულობაზე. ჯერ კიდევ არსებული სამრეკლოს დაახლოვებით მეტრის სამი მეოთხედი სიმაღლის წრიული პარაპეტი, აგებულია ცემენტის გარეშე ერთმანეთზე დალაგებული ქვებისგან, მას ეყრდნობა ათი სვეტი, რომელთაგან რამდენიმეს შენარჩუნებული აქვს გამოსახულება. სამრეკლოსკენ მიმავალი ციცაბო კლდე დაფარულია მცოცავი მცენარეებით, რაც ძალიან ართულებს მასთან მიახლოვებას. შიდა ნაწილი მოფენილია ხავსით, რაც ქმნის რბილ ზედაპირს განსხვავებულს კავკასიური ლოგინისგან.

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზ. „ბორჯომი". №44, 19 ოქტომბერი, 2023 წელი.**

# ინფრასტრუქტურული პროექტები მოქმედებაში!

**მასალა მომზადებულია ტელეკომპანია** Postv-ს **ახალ ამბებში გასული სიუჟეტის მიხედვით.**

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ შენდება ხიდები, სკვერები, განათებები და მოსასვენებელი სივრცეები. განსახორციელებელი სამუშაოები ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციების შედეგად შეთანხმდა. საკონსულტაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტის 33 სოფელში გაიმართა.

კურორტ ბაკურიანში ფანჩატურები 7 ლოკაციაზე მოეწყო. პროგრამის მიზანი სოფლებში სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაფინანსება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფაა.

**გურამ ცხოვრებაშვილი, ბაკურიანის მცხოვრები:** - რაც კეთდება ტურიზმის განვითარებისთვისაც კარგია და ჩვენთვისაც. დამსვენებლები ჩამოდიან და კომფორტულად ისვენებენ.

**გივი გოგოლაძე, ბაკურიანის მცხოვრები:** - ნამდვილად მისასალმებელია ეს საქმე, იმიტომ რომ ისეთ ადგილებზე მოეწყო მოსასვენებელი სივრცეები, სადაც ზოგან ნაგავსაყრელი იყო. გასუფთავდა, გალამაზდა და გამწვანდა არსებული სივრცეები.

**მარიკა მაკიევი, ადგილობრივი მცხოვრები:** - ულამაზესად გამოიყურება ბორჯომი, როგორც სტუმრისთვის, ასევე მოსახლეობისთვის. ბავშვებს აქვთ გასართობი სივრცე და მგზავრთა მოსაცდელიც. ფანჩატურთან ერთად მოეწყო გამწვანება, რაც აქ არასოდეს ყოფილა, ვარდებიც კი დაგვირგეს და გაგვილამაზეს მიმდებარე ტერიტორია.

**ფინალურ** ეტაპზეა ფანჩატურის მოწყობა სოფლებში **დაბასა და თორში.** გეგმის მიხედვით სამუშაოები თვენახევარში დასრულდება.

- სოფელ დაბაში კეთდება ძველი მოსაცდელი, რომელიც იყო ძალიან ცუდ მდგომარეობაში, ახლა სამუშაო პროცე-



სი მიმდინარეობს, 25 აგვისტოს დაიწყო რეაბილიტაცია და 45 დღის განმავლობაში დასრულდება, - განაცხადა **კახაბერ თედიაშვილმა,** ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაბის მაჟორიტარმა დეპუტატმა.

დასრულების ეტაპზეა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება რიგ მაღალმთიან სოფლებში. ანდეზიტში სასაფლაომდე მისასვლელი ხიდი კეთდება, რომლის ასაშენებლადაც 28 ათას ლარამდე დაიხარჯება. ხიდის მშენებლობა დაახლოებით 15 დღეში დასრულდება.

პრიორიტეტული პროექტები ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ხმათა უმრავლესობით შეარჩიეს.

**ოთარ არზოლიშვილი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი:** - პროგრამა ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში. წლის ბოლომდე მოხდება აღნიშნული პროექტების დასრულება. თითქმის სამუშაოების 80 პროცენტი დასრულებულია.

**საქართველოს** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ბაკურიანის ცენტრალური დასასვენებელი პარკის რეაბილიტაცია დაასრულა.

პროექტი, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელდა, მისი ღირებულება 10.2 მილიონი ლარია.

პარკის საერთო ფართობი 8 ჰექტარია. პარკის ტერიტორია დაიყო სხვადასხვა ტიპის - სპორტულ, კულტურულ და რეკრეაციულ ზონებად.

რეკრეაციულ პარკში შეიქმნა ისეთი ახალი სივრცეები, რომელიც ბევრად უფრო კომფორტულს გახდის პარკში დროის გატარებას, როგორც ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, ისე დაბის



მოსახლეობისა და სტუმრებისთვის.

განახლებული ინფრასტრუქტურა სრულად მორგებულია შშმ პირებისა და საბავშვო ეტლით მოსარგებლე მშობლების საჭიროებებზე.

## სპორტი

# ნინოს ევროპის ჩემპიონის ტიტული



**ისტორიული** გამარჯვების მონაწილე **ნინო პაპიძე** სამცხე-ჯავახეთში პირველი ქალია, რომელმაც ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპვა ძიუდოში, მანამდე კი აქტიურად იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა ტურნირში, 2021 წელს იასპარეზა საქართველოს ჩემპიონატზე და მოიპვა III ადგილი. 2022 წელს კი გახდა საქართველოს ჩემპიონი. 2023 წელს გორში კადეტთა ევროპის თასზე მოიპოვა III ადგილი. კადეტთა ევროპის ჩემპიონატზე გუნდურ ასპარეზობაში დაიკავა III ადგილი, ასევე კადეტთა ევროპის ოლიმპიურ ფესტივალზე გუნდურ ასპარეზობაში დაიკავა III ადგილი, ხოლო ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გუნდურ ასპარეზობაში ღირსეულად დაიკავა I ადგილი და გამარჯვებული დაუბრუნდა ჩვენს ქალაქს.

**გაუმარჯოს,** - ასეთი სათაური მუძღვნა ევროპის ძიუდოს კავშირის ოფიციალურმა ვებგვერდმა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მიერ ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებულ გამარჯვებას. ნიდერლანდებში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს გუნდმა მასპინძელი ქვეყნის ნაკრები 4:1 დაამარცხა და ეს ტიტული ისტორიაში პირველად მოიპოვეს.

ახლა აქტიურად აგრძელებს ვარჯიშს და ემზადება, რომ მომავალში მოიპოვოს უმაღლესი სინჯის მედლები და ჩვენი რეგიონის სახელი გაიტანოს ქვეყნის გარეთ.

ბორჯომიდან იწყება ნინოს ნაბიჯები დიდ სპოტულ სამყაროში. ვარჯიშობდა ბატონ **თემურ კევლიშვილთან,** რომელიც ყოველთვის ეუბნებოდა, რომ ჰქონდა უდიდესი მომავალი.

- პირველ მასწავლებელს ვუხდი მადლობას, რომ ჯეროდა ჩემი შესაძლებლობების და ვიცი, რომ ახლაც იამაყებდა ჩემით.

**იზა იანვარაშვილი**

# ბიბლუსის აქცია უსინათლოთა დასახმარებლად

**მაღაზიათა** ქსელი „ბიბლუსი“ თავის ერთგულ მკითხველებს უკვე რამდენიმე წელია ტრადიციულად თავაზობს კარგად ნაცნობ და საყვარელ აქციას **„გადაიხადე რამდენიც გინდა“,** რომელიც 27 ოქტომბერს, დაიწყო.

აქცია, ამჯერად, 15 ოქტომბერს, „თეთრი ხელჯოხის“ საერთაშორისო დღეს უკავშირდება. თეთრი ხელჯოხი, როგორც დამოუკიდებელი ცხოვრების შეუცვლელი ატრიბუტი, უსინათლო ადამიანის სიმბოლოა.

აქციაში ჩართულ მკითხველებს ეძლევათ შესაძლებლობა, თბილისის უსინათლო და მცირემხედველთა სკოლის მოსწავლეთათვის სასარგებლო სერვისების განვითარებას შეუწყონ ხელი.

წლევანდელი ოქტომბერი მნიშვნელოვანია იმის გამოც, რომ გამომცემლობა „პალიტრა L“ 18 წლის ხდება. საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად პირველად მისი არსებობის ისტორიაში, აქცია ერთის ნაცვლად, მკითხველისთვის ორ რჩეულ წიგნზე ვრცელდება.

შეთავაზების ფარგლებში, თქვენთვის სასურველ ფასად შეიძენთ წიგნებს, რომლებიც მკითხველის განსაკუთრებულ სიყვარულს იმსახურებენ: **იაკობ გოგებაშვილის მოთხრობების კრებული და ელიფ შაფაქის „სიყვარულის 40 წესი“.**

ეს მართლაც და არაჩვეულებრივი კომბინაცია კიდევ ერთხელ მოწ-




მობს ბიბლუსის ერთგული მკითხველის თანაბარ სიყვარულზე, როგორც ქართული და მსოფლიო ლიტერატურის, ისე სიძველისა და სიახლის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ თუ წიგნში 10 ლარზე ნაკლებს გადაიხდით, მისი 20% საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხება, ხოლო 10 ლარზე ზემოთ გადახდილი თანხა სრულად გადაირიცხება ფონდში.

მნიშვნელოვანია, რომ ბორჯომში არსებული ბიბლუსიც შეუერთდა აღნიშნულ აქციას. გთავაზობთ მკითხველთა მოსაზრებებს არსებულ აქციათან დაკავშირებით:

**ნინო სტეფნაძე:** - ყოველთვის ვსარგებლობ ბიბლუსის აქციებით და ჩემთვის ნამდვილად მოულოდნელი იყო ერთის ნაცვლად დამატებით მეორე წიგნი. ჩვენთვის, ქართველებისთვის საამაყო მწერლის იაკობ გოგებაშვილის მოთხრობების კრებული და თანამედროვე თურქი მწერლის, ელიფ შაფაქის „სიყვარულის 40 წესი“ ნამდვილად დაამშვენებს ჩემი წიგნების თაროს და საპატიო ადგილს დაიკავებს. თანაც ორმაგად სასიამოვნო და სასიხარულოა, როდესაც წიგნის შეძენით უსიანთლო ადამიანებს ეხმარები. დიდი მადლობა ბიბლუსს ასეთი სასიამოვნო შესაძლებლობისათვის.

**ნათია ქიმერიძე:** - საოცრად კარგი აქციაა. ახალი გამომცემლობის წიგნები ხშირად არც თუ ისე იაფი ჯდება. ამიტომაც, სასიამოვნოა, როცა ასეთი აქციები ხორციელდება. იძენ წიგნს და პლიუს სასიკეთო საქმესაც აკეთებ.

**მარიკა სამხარაძე:** - კარგი საქმე მუდამ დასაფასებელია. წარმატებები ბიბლუსს.

**რუსუდან სურმანიძე:** - დღეს შევიძინე ბიბლუსში ორივე წიგნი ორ ლარად, მართლაც სასწაულ ფასად. მადლობა აღნიშნული აქციისთვის და სიკეთეში წვლილის შეტანისთვის.

აქცია ტირაჟის ამოწურვამდე გაგრძელდება და ერთ მომხმარებელზე გაიცემა მხოლოდ თითო წიგნი. აქციაში მონაწილეობისათვის შეგიძლიათ ბიბლუსის ფილიალებს მთელი საქართველოს მასშტაბით ეწვიოთ.

მოამზადა **ნატო მელიქიძე**




# აზროვნების აკადემია

**აზროვნების აკადემიის შემეცნებითი ტურნეს ფარგლებში, ბორჯომში გაიმართება შეხვედრა ფსიქოლოგ ნინო ბუაძესთან**

- **თემა - „პოზიტიური აღზრდა“**
- **შეხვედრის თარიღი - 11 ნოემბერი**
- **შეხვედრის ადგილი - ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი**
- **დაწყების დრო - 15:00 საათი**
- **შემეცნებითი ტურნეს მთავარი პარტნიორი:** Toyota Center Tegeta/**ტოიოტა ცენტრი თეგეტა**
- **დეტალური ინფორმაციისა და რეგისტრაციისთვის ეწვიეთ ბმულს:** https://cutt.ly/ywWwPZbJ



**შვილი თამრიკო, შვილიშვილები ნიკა, სანდრო გელაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**თამაზ ლომიძე**

**და თინა, სიძე ვახო გოქაძეები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**თამაზ ლომიძე**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

**ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის მრავალრიცხოვარი მრევლი, წინამძღვარი მამა გერასიმე თანაგრძნობას უცხადებენ თამრიკო ლომიძე-გელაშვილს მამის**

**თამაზ ლომიძის**

**გარდაცვალების გამო.**

**დავით აღმაშენებლის ქუჩის №35 ბინის მცხოვრები მეზობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ახლო მეზობელი**

**გოჩა ჩუტკერაშვილი**

**და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს ლუდას, შვილს ნინოს, ძმას კობას.**

**ბორჯომის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ყოფილი ღვაწლმოსილი თანამშრომელი**

**მარია პლატონოვა-ციყელაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**რკინიგზის №6 საშუალო სკოლის 1959 წლის გამოშვების ყოფილი მოსწავლეები და მათი ოჯახები იუწყებიან თანაკლასელის**

**დალი დოლიძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.**

## ბრძნული შეგონება

# ფიზიკა-მათემატიკა ზუსტი მეცნიერებაა




**- ერთხელ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პროფესორმა გადაწყვიტა მათემატიკურად აეხსნა სტუდენტებისთვის, რომ ჯერ აღზრდაა მნიშვნელოვანი და მერე განათლება.**

**მან დაფაზე დაწერა 1-იანი და სტუდენტებს უთხრა:**

**- ესაა თქვენი ადამიანობა, - ცხოვრებაში ყველაზე აუცილებელი თვისება.**

**შემდეგ მიაწერა 0.**

**- ეს თქვენი მიღწევებია, რომლებმაც ადამიანობასთან ერთად ერთი ათად გაგზარდათ, კიდევ 0-ს თუ მივუწერთ, ანუ გამოცდილებას - გახდებით 100-ჯერ უფრო ფასეული.**

**ასე ამატებდა ნულებს პროფესორი: წინდახედულობის, წარმატების, სიყვარულის, ბედნიერების და ა.შ. და ამბობდა, რომ ყოველი დამატებული 0 აკეთილშობილებდა ადამიანს.**

**უცბად, მან წაშალა 1-იანი და დაფაზე დარჩა მხოლოდ ნულები...**

**პროფესორმა დაასრულა:**

**- თუ არ გექნებათ ადამიანობა, დანარჩენი არაფერს ნიშნავს - დანარჩენი ყველაფერი ნულია.**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2 ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე